აღზრდის სტილის კავშირი ბავშვის თვითშეფასებასა და სასკოლო შფოთვასთან

ირმა ბირკაია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ფსიქოლოგია (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათელა იმედაძე, პროფესორ-ემერიტუსი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის "ადზრდის სტილის კავშირი ბავშვის თვითშეფასებასა და სასკოლო შფოთვასთან " *ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

ირმა ბირკაია

26. 06. 2019

აბსტრაქტი

პიროვნების ფორმირების პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს აღზრდა. მისი საშუალებით ხდება ადამიანის სხვადასხვა ფსიქიკური უნარებისა თუ ფუნქციების განვითარება. ცნობილია, რომ არსებობს აღზრდის სამი განსხვავებული სტილი: ავტორიტეტული, ავტორიტარული, ლიბერალური. თეორია და რიგი კვლევებისა მოწმობს, რომ აღზრდის სტილი დაკავშირებულია ბავშვის თვითშეფასებასა და სასკოლო შფოთვასთან.

მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის შედეგად შემდეგი ტენდენცია გამოიკვეთა: ავტორიტეტული აღზრდის სტილსა და თვითშეფასებას შორის დადგინდა საშუალო დადებითი კორელაცია, სუსტი უარყოფითი კი სასკოლო შფოთვასთან. ავტორიტარულის შემთხვევაში სუსტი დადებითი კორელაცია თვითშეფასებასთან და სუსტი უარყოფითი სასკოლო შფოთვასთან. ლიბერალური სტილის შემთხვევაში კი საშუალო დადებითი კორელაცია თვითშეფასებასა და სასკოლო შფოთვასთან.

ნაშრომის პირველ ნაწილში განვიხილავთ აღზრდის სტილებს, თვითშეფასებასა და სასკოლო შფოთვას. მეორე ნაწილში მიმოვიხილავთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ კვლევებსა და მიღებულ შედეგებს. საბოლოოდ კი კვლევის ფარგლებში შევეცდებით პასუხი გავცეთ შემდეგ კითხვას: არის თუ არა კავშირი აღზრდის სტილს ბავშვის თვითშეფასებასა და სასკოლო შფოთვასთან.

საკვანძო სიტყვები: აღზრდის სტილი, ავორიტეტული, ავტორიტარული, ლიბერალური, თვითშეფასება, სასკოლო შფოთვა

მადლობა

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს სამეცნიერო ხელძღვანელს, პროფესორ-ემერიტუსს, ნათელა იმედაძეს, რომელიც აქტიურად იყო ჩართული კვლევის პროცესში. ქალბატონმა ნათელამ მომცა კვლევისათვის სწორი მიმართულება, მუშაობის პროცესში კი ჩემთვის მნიშვნელოვანი მორალური მხარდაჭერა და მოტივაცია.

ტექნიკური დახმარებისთვის, კვლევის მონაცემების სტატისტიკურად დამუშავებისა და ინტერპრეტაციისთვის დიდი მადლობა ბატონ ივანე კეჭაყმაძეს.